

საკონკურსოდ წარდგენილი საპროექტო წინადადების შეფასების წესი:

1. საკონკურსო პროექტის წინასწარი განხილვა იწარმოებს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ, რომელიც მოამზადებს დასკვნას საბოლოო შეფასებისათვის;
2. კომისია საპროექტო წინადადებების საბოლოო შეფასებისათვის ისმენს კონკურსანტის მოხსენებას და რეცენზენტის დასკვნას;
3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3. კომისია დადებით გადაწყვეტილებას წარმოდგენილი პროექტის დაფინანსების შესახებ იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის მიერ ხმის მიცემის პროცედურა წარმოებს ღია კენჭისყრით, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით;
4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ნომინაციებში გამარჯვებულთა შესახებ საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება.